უფალი, იესო ქრისტე ძალიან მალე დაბრუნდება მიწაზე. მან დაგვპირდა ეს, როდესაც ჯერ კიდევ ამ წუთისოფელში იყო ორი ათასი წლის წინ.(იოანეს სახარება14 თავი 1-3მუხლები). როგორ შეგვიძლია დარწმუნებულად ვიცოდეთ, რომ ქრისტე უეჭველი დაბრუნდება? წაიკითხეთ წინასწარმეტყველებები (წინასწარ თქმული), რომლებიც უფალმა იესო ქრისტემ თვითონ თქვა და რომლებიც მოხდება დროის დასასრულს. საგულდაგულოდ წაიკითხეთ ეს წმიდა წერილები და შეადარეთ ისინი იმ მოვლენებს, რომლებიც ეხლა ხდება მსოფლიოში. ეს იქნება დამადასტურებელი მტკიცებულება იმისა, რომ უფალი იესო ქრისტე ბრუნდება!

1 ტაძრის დანგრევა

იესო ტაძრიდან მოდიოდა, როდესაც მისი მოწაფეები მიუახლოვდნენ, რათა ეჩვენებინათ ტაძრის შენობები. პასუხად მან მიუგო მათ: "ხედავთ ამ ყველაფერს? სიმართლეს გეუბნებით თქვენ, რომ ქვა-ქვაზე არ დარჩება აქ; ყველაფერი დაინგრევა." (მათე 24:1-2, მარკოზ13:1-2, ლუკა 21:5-6). ეს ასო-ასო შესრულდა ჩვ.წ.აღ-ით 70 წელს.

2 დაბრუნების ნიშანი

მოგვიანებით, როცა იგი ელეონის მთაზე იყო, ტაძრის საპირისპიროდ, მასთან განმარტოვებულმა პეტრემ, იაკობმა, იოანემ და ანდრიამ ჰკითხეს:"გვითხარი, როდის მოხდება ეს ყველაფერი, რა ნიშანი იქნება იმისა, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში აღსრულდება?" (მათე 24:3, მარკოზი 13:3-4, ლუკა 21:7).

3 თაღლითების გამოჩენა

მან უპასუხა: "გაფრთხილდით , რომ შეცდომაში არ შეგიყვანონ, რადგან ბევრნი მოვლენ ჩემი სახელით და იტყვიან: " მე - ქრისტე ვარ" ან "დადგა დრო ". მაგრამ თქვენ ხუ გაჰყვებით მათ. (მათე 24:4-5 , მარკოზი 13:5-6 , ლუკა 21:8)

4 ომი და ხმები ომების შესახებ

და როდესაც თქვენ მოისმენთ ომებსა და შფოთებზე, ნუ შეშინდებით, რადგან ეს ყველაფერი უნდა მოხდეს , პირველ რიგში, და მხოლოდ ამის შემდეგ მოვა აღსასრული ". (მათე 24:6 , მარკოზი 13:7, ლუკა 21:9)

5 ეთნიკური ომები| მიწისძვრა | შიმშილი | დაავადება

შემდეგ მან უთხრა : "ერი ერის წინააღმდეგ აღსდგება და სამეფო სამეფოს წინააღმდეგ . და იქნება დიდი მიწისძვრები, შიმშილობა, დაავადებები და სხვადასხვა უბედურებები ბევრგან, და საშინელი მოვლენები, იქნება დიდი ნიშნები ციდან". (მათე 24:7, მარკოზი 13:8 , ლუკა 21:10-11)

6

მაგრამ ეს იქნება მხოლოდ დასაწყისი თქვენი გამოცდებისა, ისევე, როგორც ქალი იტანჯება მშობიარობის ტკივილებით. (მათე 24:8 , მარკოზი 13:8)

7 ქრისტიანების დევნა

მაგრამ სანამ ეს მოხდება, თქვენ დაგიჭერენ და ყველანაირად გაგდევნიან: ჩემი გულისთვის გიგზავნიან სინაგოგებში , ჩაგაგდებენ საპყრობილეში და ასევე გაიძულებენ პასუხი გასცეთ მეფეებისა და მმართველების წინაშე. ეს ყველაფერი საშუალებას მოგცემთ დაამოწმოთ ჩემზე. (მათე 24:9 , მარკოზი13:9, ლუკა 21:12-13)

8

წინასწარ ნუ მოიფიქრებთ თქვენს პასუხებს, რადგან მე მოგცემთ თქვენ სიბრძნეს და ჩავდებ თქვენს პირში ისეთ სიტყვებს, რომ ვერც ერთი თქვენი მოწინააღმდეგე ვერ შეძლებს თქვენს წინააღმდეგობას, ვერც უარყოფას. (მარკოზი 13:11 , ლუკა 21:14-15).

9 ღალატი ოჯახში

და იქნებით გაცემულნი მშობლებისა და ძმებისგან, ნათესავებისა და თქვენი მეგობრების მიერ. ზოგიერთ თქვენგანს მოკლავენ. და შეგიძულებენ თქვენ იმის გამო, რომ ჩემი მოწაფეები ხართ. მაგრამ არცერთი თმის ღერი, თქვენი თავიდან არ ჩამოვარდება. ხანგრძლივიმოთმინებით იხსნით თქვენს თავს. " (მათე 24:9-10 , მარკოზი 13:12-13 , ლუკა 21:16-19)

10 სიყვარული განელდება

იმის გამო, რომ გაიზრდება ურჯულოება, ბევრ მორწმუნეს სიყვარული გაუნელდება. მაგრამ ის, ვინც მოითმენს ბოლომდე, გადარჩება. (მათე 24:12-13).

11

ეს სასიხარულო უწყება ღმერთის სამეფოს შესახებ იქნება ნაქადაგები მთელს მსოფლიოში ყველა ერებისთვის და შემდეგ მოვა აღსასრული (მათე 24:14 , მარკოზი 13:10).

12 გაპარტახების სიბილწე (სისაძაგლე) იერუსალიმში

როდესაც იხილავთ იერუსალიმს, ჯარებით გარსშემორტყმულს,იცოდეთ, რომ ახლოს არის მისი განადგურება. (ლუკა 21:20). ამიტომ, როდესაც თქვენ იხილავთ იმ "გაპარტახების სისაძაგლეს ", რომელზეც წინასწარმეტყველმა დანიელმა იწინასწარმეტყველა, წმინდა ადგილზე მდგომს (მკითხველმა გაიგოს), ყველა, ვინც იქნება იუდეაში, მთებში შეეფაროს ; ვინც სახურავზე იქნება, ნუ ჩამოვა ქვევით თავისი ბარგი-ბარხანისათვის; ვინც ყანაში იქნება, ნუ დაბრუნდება შინ სამოსლისათვის (მათე 24:15-18 , მარკოზი 13:14-16 , ლუკა 17:31, 21:21). ვაი ორსულებსა და მეძუძურებს! , ილოცეთ, რომ არ მოგიხდეთ გაქცევა ზამთარში ან შაბათს (მათე 24:19-20 , მარკოზი 13:17-18 , ლუკა 21:23). დაეცემიან მახვილით, ტყვედ წაასხამენ სხვა ერებში; წარმართთა ფეხები გათელავენ იერუსალიმს, სანამ მათი დრო ამოიწურება " (ლუკა 21:24).

13 უბედურების ჟამი იაკობისთვის. (იერემია 30:6-7)

იმიტომ ,რომ საშინელი გასაჭირის დღეები იქნება ის დღეები, როგორიც არ ყოფილა მას შემდეგ, რაც ღმერთმა შექმნა სამყარო, დღევანდელ დღემდე, და აღარც არასოდეს იქნება. უფალს რომ არ შეემოკლებინა ის დღეები,ვერა ხორციელი ვერ გადარჩებოდა.მაგრამ მან შეამოკლა,თავისი რჩეულების გულისთვის (მათე 24:21-22 , მარკოზი 13:19-20, ლუკა 21:23). რადგან ეს იქნება სასჯელის დღეები, როდესაც აღსრულდება ყველაფერი რაც წერია (ლუკა 21:22).

14 ცრუ ქრისტეები და ცრუ წინასწარმეტყველები

მაშინ უ ვინმე გეტყვით: "ნახეთ! აი აქ არის ქრისტეო!" ან " აი იქო! " -- არ ერწმუნოთ მათ, იმიტომ, რომ გამოჩნდებიან ცრუ ქრისტეები და ცრუ წინასწარმეტყველები და მოახდენენ სასწაულებსა და ნიშნებს,ეცდებიან,რჩეულნიც კი შეაცდინონ თუ კი შეძლებენ (მათე 24:23-24 , მარკოზი 13:21 -23). ასე რომ, თუ გეტყვიან: "ნახეთ! ის უდაბნოშიაო! ", ნუ წახვალთ იქ. ანდა თუ გეტყვიან: "ნახეთ, ის იმალება შიდა ოთახებშიო", არ ერწმუნოთ მათ,იმიტომ რომ,როგორც ელვა გამოდის აღმოსავლეთით და ცის დასავლეთამდე ანათებს,ასევე იქნება კაცის ძის მოსვლაც (მათე 24:26-27 ლუკა 17:23-24).

15 ნიშანი ზეცაში

და მაშინვე, ამ გასაჭირის დღეების შემდეგ : მზე დაბნელდება და მთვარე აღარ გამოსცემს თავის ნათელს,ვარსკვლავები ჩამოცვივდებიან ციდან და ციური ძალები შეირყევიან (მათე 24:29, მარკოზი 13:24-25, ლუკა 21:25). და იქნება ნიშნები მზეზე და მთვარეზე და ვარსკვლავებზე, ხოლო დედამიწაზე--- ხალხების სასოწარკვეთა და შეშფოთება ზღვის ხმაურისა და ბობოქრობის გამო. ხალხი დაუძლურდება შიშისგან და სტიქიის საშინელი უბედურებების მოლოდინისგან,რომელიც მსოფლიოზე მოდის, ვინაიდან ციური ძალები შეირყევიან (ლუკა 21:25-26).

16 მაშინ გამოჩნდება კაცის ძის ნიშანი ზეცაში
და მაშინ მოჰყვება მოთქმას მიწის ყველა
ტომი,და იხილავენ კაცის ძეს,ზეცის ღრუბლებზე
მომავალს,მთელი თავისი ძალითა და უდიდესი
დიდებით. მოავლინებს თავის ანგელოზებს
დიდხმიანი საყვირით და შეკრებენ მის
რჩეულებს ყველა მხრიდან,დედამიწის ერთი
კიდიდან მეორე კიდემდე. (მათე 24:30-31,
მარკოზი 13:26-27, ლუკა 21:27).

17 და როდესაც ამის ახდენა დაიწყება,ნუ
შეშინდებით,არამედ თავი ასწიეთ, რადგან
ახლოსაა თქვენი ხსნა (ლუკა 21:28).

18 ლეღვისაგან აიღეთ მაგალითი: როცა მისი
რტოები დარბილდება და ფოთლებს
გამოისხამს,იცით, რომ ახლოა ზაფხული. ასევე,
როცა იხილავთ,რომ ეს ყოველივე
ხდება,იცოდეთ, რომ დღე ახლოსაა,კარზეა
მომდგარი (მათე 24:32-33, მარკოზი 13:28-29,
ლუკა 21:29-31).არავინ იცის, როდის დადგება ეს
დღე და ეს საათი, არც ანგელოზებმა ცაში, არც
ძემ, არამედ მხოლოდ მამამ .(მათე 24:36 ,
მარკოზი 13:32).

19 მსაგავსად იმისა, როგორც ეს მოხდა ნოეს
დღეებში,ასევე იქნება კაცის ძის მოსვლის
დღეებშიც: როგორც წარღვნამდელ დღეებში
ადამიანები ჭამდნენ,სვამდნენ,ცოლს
ირთავდნენ და თხოვდებოდნენ იმ დღემდე,
ვიდრე ნოე კიდობანში შევიდოდა,და ეჭვი არ
ეპარებოდათ, სანამ არ ეწიათ წყალდიდობა და
განადგურება, -- ასევე იქნება,კაცის ძის მოსვლის
ნინა დღეებში (მათე 24:37-39, ლუკა 17:26-27).

20 იგივე იქნება,როგორც ლოტის დროს
იყო, როცა ღმერთმა გაანადგურა სოდომი:
ყ ვ ე ლ ა
ჭამდა,სვამდა,ყიდულობდნენ,ყიდდნენ,რგავდნე
ნ და აშენებდნენ სახლებს. მაგრამ იმ დღეს,
როცა ლოტი სოდომიდან გავიდა, ცეცხლმა და
გოგირდმა იწვიმა ზეციდან და ყველა
გაანადგურა. ასევე იქნება,იმ დღესაც,როცა ძე
კაცისა გამოჩნდება (ლუკა 17:28-30).

ANGEL TV
Satellite :Eurobird 9A @9°
Band :Ku
Downlink Frequency :11.919GHz
SymbolRate :27500Msps
FEC :3/4
Modulation :MPEG2
Polarization :Vertical

21 გაიხსენეთ ლოტის ცოლი. ის, ვინც
ცდილობს თავისი სიცოცხლის
შენარჩუნებას,დაკარგავს მას. ხოლო ვინც
დაკარგავს თავის სიცოცხლეს, შეინარჩუნებს
საუკუნო სიცოცხლეს (ლუკა 17:32-33).

22 თქვენ გეუბნებით: თუ იმ ღამეს ორნი
იქნებიან ერთ საწოლზე, ერთს წაიყვანენ და
მეორე დარჩება. ორნი დაფქვავენ ერთად:
ერთს წაიყვანენ,მეორე დარჩება. ორნი
იქნებიან მინდორში: ერთს წაიყვანენ,მეორე
დარჩება. (მათე 24:40-41 , ლუკა 17:34-36).
მოწაფეებმა ჰკითხეს იესოს: "სად იქნება ეს
ყველაფერი?" მან უპასუხა: "იქ,სადაც გვამია,
ყოველთვის მოგროვდებიან ორბები". (მათე
24:28 , ლუკა 17:37).

23 იფხიზლეთ და ილოცეთ
ისევე, როგორც შორ გზაზე მიმავალმა კაცმა
მიატოვოს თავისი სახლი, თავის მსახურებს
მისცეს ხელმწიფება სახლის მისახედად და
ყველას თავისი საქმე მიუჩინოს,ხოლო
მეკარეს უბრძანოს ფხიზლად ყოფნა. ასე
იფხიზლეთ, რადგან არ იცით, როდის
დაბრუნდება სახლის პატრონი---საღამოს თუ
შუაღამისას,მამლის ყივილზე დილით თუ
როცა მზე ამოვა.მას შეუძლია მოულოდნელად
მოვიდეს და თუ მუდამ ფხიზლობთ, მძინარეებს
არ მოგისწრებთ.(მარკოზი 13:34-36).

24 გახსოვდეთ ეს: სახლის პატრონმა რომ
იცოდეს,ღამის რომელ დროს მოვა ქურდი
მასთან,იფხიზლებდა და არ დაუშვებდა ქურდს
თავისთან სახლში.სწორედ ამიტომ, თქვენც
უნდა იყოთ მზად,ვინაიდან,რომელ საათზეც
არ მოელით,მაშინ მოვა ძე კაცისა.(მათე
24:43-44).

25 გაფრთხილდით,იფხიზლეთ, რომ
თქვენი გონება არ დაბლაგვდეს
ღრეობით,ლოთობით და ცხოვრებისეული
საზრუნავებით, რომ იმ დღემ არ გიხიოთ
უცაბედად, როგორც მახე. ის ეწევა ყველა
მკვიდრს მთელს მიწის პირზე (მარკოზი 13:33
ლუკა 21:34-35).

26 მაშ,ყოველჟამს იფხიზლეთ და
ილოცეთ,რათა შეძლოთ ყველა ამ
მოსახდენთაგან თავის დაღწევა და წარდგომა
კაცის ძის წინაშე (ლუკა 21:36).

27 სიმართლეს გეუბნებით თქვენ, რომ არ
გადაივლის ეს თაობა,ვიდრე ყოველივე ეს არ
მოხდება. ცა და დედამიწა გადავლენ,ჩემი
სიტყვები კი --- არ გადავლენ.(მათე 24:34-35,
მარკოზი 13:30-31, ლუკა 21:32-33).

**თავის სახელოვან ტახტზე
მჯდომი,დიდებული მეფე --
უფალი იესო ქრისტე ძალიან
მალე დაბრუნდება
უზარმაზარი ძალითა და
დიდებით, რომელსაც თან
ახლავს თავისი წმიდა
ანგელოზები და წმინდანები.**

**გეშინოდეთ ღვთისა და
დიდება მიაგეთ მას,ვინაიდან
დადგა მისი სამსჯავროს
ჟამი.თაყვანი ეცით მას, ვინც
შქმნა ზეცა, დედამიწა, ზღვა და
წყალთა წყაროები!**

(გამოცხადება 14:7).

შეყოვნება აღარ იქნება!

**ცათა სასუფეველი ძალიან
ახლოსაა. მოინანიეთ და
ერწმუნეთ ამ უწყებას.**

**მოემზადეთ თქვენს უფალთან
და ღმერთთან შესახვედრად!**

კეთილი უწყება ღმერთის სამეფოზე.

ქართული | GEORGIAN